ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს „მზეკაბანი 2007“

შეფასების თარიღ(ებ)ი:
10-11 ნოემბერი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
04 დეკემბერი, 2022 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	**შპს „მზეკაბანი 2007“**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**231948603**

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თერჯოლა**
იურიდიული მისამართი	**თერჯოლა, რუსთაველის IV ჩიხი №1**
ფაქტობრივი მისამართი	**თერჯოლა, რუსთაველის № 69**
საფოსტო ინდექსი	**2400**
დაწესებულების ვებ-გვერდი	**www.mzekabani.edu.ge**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების ელ-ფოსტა	**Kerdzoskolamzekabani2007@gmail.com**
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**ნატა ცხადაძე**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**598 288 878**
ელ-ფოსტა	**natacxadadze@gmail.com**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს მზეკაბანი-2007-ში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 11 ოქტომბრის MES 7 22 0001269776 ბრძანება.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	10.11.2022 - 11.11.2022
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ქეთევან ბოტკოველი
წევრი (სახელი, გვარი)	ნანა ედიშერაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით.	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის			
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6/ პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას			
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის,	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა			
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.4.*	
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1*	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს განვითარებაზე ორიენტირებული გუნდი, თანამშრომლობის მაღალი მაჩვენებელი და მმართველი გუნდის აქტიური ჩართულობა სიახლეების დანერგვის საქმეში. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაა ასევე სკოლაში არაფორმალური განათლების განვითარება და წრეებში და კლუბებში მოსწავლეთა ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი. თვითგანვითარებისა და რეალიზაციის მოტივაციის ასამაღლებლად და საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებს. მაგალითად: • STEAM- პროექტების კლუბი „ჩხირკედელა“ (მოსწავლეები იყენებენ არდუინო სისტემებს, ციფრულ ტექნოლოგიებს, ხელოვნური ინტელექტის საწყისებს და აპროგრამებენ სხვადასხვა ტიპის სენსორებს, ჭკვიან სარწყავ მოწყობილობებს); • პროექტი „სტუმრად მზეკაბანში“ (მზეკაბანის საუკეთესო-კურსდამთავრებულები მასტერკლასებს უტარებენ სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა საგანში); • სტუმრად „წიგნის მოყვარულთა“ კლუბში (შეხვედრები რაიონის ცნობილ და ინტელექტუალ ადამიანებთან); • პროექტი - „ბიბლიოთეკა წიგნიერების ქვაკუთხედი“- აქცია -ერთი წიგნი სკოლის ბიბლიოთეკას; • პროექტი - „ ქართულ ხელნაწერთა კვალდაკვალ“ ; • პროექტი - „გამოჩენილი ადამიანები (რომელთაც თერჯოლასთან შეხება აქვთ)“- „კაცი ,რომელმაც დროს გაუსწრო (ნიკო ნიკოლაძე)“, „უდიდესი ქართველი ევროპელი (გრიგოლ რობაქიძე)“; • პროექტი - შიდა სასკოლო ჩემპიონატი ტრაგიკულად დაღუპული „მზეკაბანელი“ შაკო კირკიტაძის სახელობის გარდამავლ თასზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სოციალური პროექტი - სიკეთე გადამდებია - საქველმოქმედო აქციები რაიონის მკვიდრი სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, რომელთაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ; • პროექტი -სტუმრად დღის ცენტრთან „საპოვნელა“ და „იმედის სხივი“ (სსსმ მოსწავლეთა დღის ცენტრი); • პროექტი „არა ძალადობას“ (პრევენციის მიზნით ფილმების ჩვენება, შეხვედრები ფსიქოლოგთან, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ბავშვთა უფლებების დაცვის კლუბის ხელმძღვანელთან) გამოფენები ზემოაღნიშნულ თემაზე (პლაკატების კონკურსი); • პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ –(პრევენციის მიზნით შეხვედრები ექიმებთან, სპორტსმენებთან, ფილმების ჩვენება); • სასკოლო პროექტები, მუსიკალურ-ლიტერატურული, ქორეოგრაფიული კომპოზიციები (ღირსშესანიშნავი თარიღებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების აღსანიშნავად).

დაწესებულების მისია	შპს „მზეკაბანი 2007“ კვალიფიციური კადრებით, გამართული ინფრასტრუქტურით, სათანადო აღჭურვილობითა და უსაფრთხო გარემოთი ქმნის მოსწავლეებისათვის მისაღებ პირობებს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბებისათვის; უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ – ჩვევებს; აიარაღებს მას საჭირო ცოდნით, სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით; უნერგავს მას ტოლერანტულ თვისებებს, უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას; ზრდის კონკურენტუნარიან, კომუნიკაბელურ პიროვნებად; ეხმარება ოჯახის, სკოლის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში; ამზადებს მას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	**არ გაცემულა**

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	**ექსპერტი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მზეკაბანი 2007“-ის (შემდგომში სკოლა) სასკოლო-სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის მისია გამომდინარეობს ზოგადი განთლების ეროვნულ მიზნებიდან და მოიცავს იმ ძირითად პრინციპებს, რომლებზეც უნდა დაფუძნდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესი. მისია შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ საკითხებს, როგორიც არის სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხი; ტოლერანტობა; ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება; კონკურენტუნარიანი, კომუნიკაბელური პიროვნების აღზრდა; ოჯახის, სკოლის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერება; საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია. 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. ის მოიცავს შემდეგ ნაწილებს: • სკოლის მისია; • ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია საფეხურების მიხედვით; • სასწავლო წლის კალენდარი; • დღის რეჟიმი; • სასკოლო საათობრივი ბადე და შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა; • გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; • საგნობრივი კათედრები; • ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; • ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა; • მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა); • ინკლუზიური განათლება; • სადამრიგებლო პროგრამა; • მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მართვა; • უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების თავისებურებანი; • მოსწავლეთა სასკოლო ექსკურსიის შესახებ; • დისტანციური სწავლების ორგანიზება; შპს „მზეკაბანში“ სწავლება სამივე საფეხურზე, ქართულ ენაზე მიმდინარეობს. სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია თითოეული საფეხურის ძირითადი მიზნები და ამოცანები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის 2022-2023 სასწავლო წლის კალენდარი, რომლის თანახმად სასწავლო კვირა ხუთდღიანია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი; II კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა- 40 წუთი; III-XII კლასებში - 45 წუთი; წარმოდგენილი სსგ-ს მიხედვით, გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია გაკვეთილების განრიგი ყველა კლასისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის სასკოლო საათობრივი ბადე, რომელიც განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას; მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება. სკოლის მიერ წარმოდგენილი საათობრივი ბადის მიხედვით, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგანი. შპს „მზეკაბანი 2007-ში“ 2022-2023 სასწავლო წელს განაყოფი ჯგუფები არ არის. სკოლაში ფუნქციონირებს 5 კათედრა: ✓ ქართული ენა-ლიტერატურის, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა, რომლის შემადგენლობაში შედიან: ქართული ენა და ლიტერატურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები. ✓ მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკისა და ისტ-ის მასწავლებლები; ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბუნებისმეტყველების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლების, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლები; ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების, მოქალაქეობის და სამოქალაქო განათლების, გეოგრაფიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კვლევის, მსოფლიო კულტურისა და სახელმწიფო და სამართლის მასწავლებლები; ✓ უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (რუსული ენის) მასწავლებლები; სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. წარმოდგენილია კათედრების ფუნქციები, კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები, თითოეული კათედრის მუშაობის მახასიათებლები. კათედრების მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდებზე, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზზე, ურთიერთთანამშრომლობაზე, გამოცდილების გაზიარებაზე და ა.შ. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ასევე შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა კლასების მიხედვით. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, წარმოდგენილია დოკუმენტის დანართის სახით და ატვირთულია eSchool - ში. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია დისტანციური სწავლების შემთხვევაში გასათვალისწინებელი რეგულაციები და პროცედურები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სკოლა გადავიდეს დისტანციური ან შერეული (ჰიბრიდული) სწავლების მოდელზე. სკოლა დისტანციურ-ჰიბრიდულ მოდელზე სინქრონული სწავლებისას იყენებს ZOOM პლატფორმას. გაწერილია დისტანციური სწავლების დროის განრიგი, დღის რეჟიმი, მონიტორინგის მექანიზმები. შპს “მზეკაბანი 2007“-ის სასკოლო სასწავლო გეგმით შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს "მზეკაბანი 2007" პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 2 სექტემბრის ოქმი N1; • შპს "მზეკაბანი 2007"-ის დირექტორის 2022 წლის 2 სექტემბრის ბრძანება #2-66; • სკოლის 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა; • სკოლის მისია; • შპს "მზეკაბანი 2007" -ის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • ინტერვიურება სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს "მზეკაბანი 2007"-ში სწავლა-სწავლების პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 147 მოსწავლე. როგორც სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, სკოლისთვის თითოეული მოსწავლე არის უნიკალური, როგორც უნარებით და შესაძლებლობებით, ასევე, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით. მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2022-2023 სასწავლო წელს, სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზა ეროვნული სასწავლო გეგმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება უფასო წრეების სახით: • ინგლისური ენის წრე - საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის; • ისტორიის წრე - საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის; • მათემატიკის წრე - საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის; ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ფასიანი წრის სახით: • ჭადრაკის წრე - II-VI კლასების მოსწავლეები. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს წრის სახით: • გახანგრძლივებული I-IV კლასებში გაკვეთილების შემდეგ 17:00 საათამდე. მოსწავლეთა არაფორმალურ განათლებას სკოლაში ფუნქციონირებს: • კლუბი „ჩხირკედელა“ VII-VIII კლასებში; • დებატკლუბი - VII, VIII, IX, X, XI, XII კლასებში; • ინტელექტუალთა კლუბი - „რა? სად? როდის?“ - VII, VIII, IX, X, XI, XII კლასებში; წარმოდგენილი დოკუმენტაციის - წრეების პროგრამები, თემატიკა და სამუშაო მეთოდოლოგია, კლუბების დებულებები, განხორციელებული პროექტები, მუშაობის ამსახველი მასალები - შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ სკოლას კარგად აქვს გააზრებული არაფორმალური სწავლების მნიშვნელობა. სკოლა 2022-2023 სასწავლო წელს მოსწავლეებს ასევე სთავაზობს არჩევით საგნებს: X კლასში - მსოფლიო კულტურა; XI კლასში - გეოგრაფიული კვლევა; XII კლასში- სახელმწიფო და სამართალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კათედრის პორტფოლიოებით იკვეთება, თუ რამდენად არის სკოლა დაინტერესებული მოარგოს სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია მოსწავლის საჭიროებებს. მათში მოთავსებულია კათედრის ჟურნალი, სამუშაო გეგმა, ოქმები, კათედრის ფარგლებში შემავალი საგნების შესაბამისი ესგ-ს სტანდარტები, საგნის სწავლების მიზნები, სასწავლო თემების ჩამონათვალი, ინდიკატორები, მეთოდიკური ორიენტირები, თემის აგების ნაბიჯები, კომპლექსური დავალების ნიმუშები, კომპლექსური დავალების ბარათები, გამჭოლი უნარები და ღირებულებები, თემატურ-კალენდარული გეგმები, სასწავლო თემის დასაგეგმად გასათვალისწინებელი ნაბიჯები, განხორციელებული სასწავლო პროექტები, ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის, შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა კლასებისა და საგნების მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების შედეგები, შედეგების ანალიზი და მასწავლებლის რეფლექსია, 2022-2023 სასწავლო წლის ეროვნულ სასკოლო ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეთა სია და სხვა. მოცემული დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში დაწყებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესები. სკოლაში ექსპერტთა ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ფოიეში, თითოეულ საკლასო ოთახში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, კედლის გაზეთები, პოსტერები, ნახატები, კომიქსები, ნაკეთობები, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, სხვადასხვა სასწავლო პროექტში. ნამუშევრები სხვადასხვა საგნობრივი დისციპლინის ფარგლებშია წარმოდგენილი: კედლის გაზეთები „კლოდ მონე“, „ლადო გუდიაშვილი“, „რენუარი“, პროექტის „აივ-ინფექცია - შიდსი“ ამსახველი ფოტოები, ხელნაკეთი სივრცული STEM პროექტების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები - მოძრავი რობოტ-მანქანა, ჭკვიანი სარწყავი მოწყობილობა ოთახის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მცენარეებისათვის, შუქნიშანი, სახლი მოძრავი სენსორის რეაგირებით და სხვა. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია სადამრიგებლო პროგრამა, დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები და პრინციპები, დამრიგებლის მუშაობის მიზანი, რეკომენდაციები „სადამრიგებლო საათის“ განხორციელებისთვის, სადამრიგებლო საათის თემები მიმართულებების მიხედვით. დამრიგებლებს აქვთ პორტფოლიოები, სადაც წარმოდგენილია კონკრეტულ კლასთან მომუშავე მასწავლებლების საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა ინფორმაცია, მშობლების საკონტაქტო მონაცემები, სადამრიგებლო გეგმა, კლასში ჩატარებული ღონისძიებები, მოსწავლეთა დახასიათებები, მშობლის კითხვარები მოსწავლის თავისებურებების შესახებ, მშობელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი. დამრიგებლის კლასთან შეხვედრის ჩანაწერები, მშობლებთან შეხვედრის ჩანაწერები, სემესტრული და წლიური ანგარიში. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კონკრეტულ კლასში კონკრეტული საგნის სწავლებისას ხელი ეწყობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შინაარსების გააზრებასა და უნარების გამომუშავებას, რაც მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუებითაც დადასტურდა. სკოლის მოსწავლეები ინტერვიუს პროცესში აქტიურად საუბრობენ მიმდინარე სასწავლო პროცესში მათი ჩართულობისა თუ დაგეგმილი სხვადასხვა ერთობლივი აქტივობების შესახებ. მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არიან რეალიზებულნი, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მათ საინტერესო და სახალისო აქტივობებს, რაც ხელს უწყობს ნებისმიერი მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სასკოლო საათობრივი ბადის შემადგენელი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული და ეროვნული სასწავლო გეგმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაუთვალისიწინებელი სავალდებულო საგნების სწავლების მიზნებით, შინაარსით, სხვადასხვა სასკოლო აქტივობებით დასტურდება, რომ სკოლა პასუხობს მოსწავლეთა მოთხოვნებს და შესაძლებელს ხდის მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს "მზეკაბანი 2007" პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 2 სექტემბრის ოქმი N1; • შპს "მზეკაბანი 2007"-ის დირექტორის 2022 წლის 2 სექტემბრის ბრძანება #2-66; • სკოლის 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა; • შპს "მზეკაბანი 2007" -ის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • კლასის დამრიგებლების პორტფოლიოები, ანგარიშები; • კათედრის პორტფილოები; • დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური გეგმები/კურიკულუმები; • ინტერვიურება სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მზეკაბანი 2007"-ის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური სასწავლო გეგმების მეთოდიკის, თუ შეფასების კომპონენტების ნაწილებში იკვეთება, რომ სკოლა ფუნქციონირებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო-სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია ინკლუზიური განათლება. ამ ეტაპზე, სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ირიცხება. მიუხედავად ამისა, სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმით წარმოდგენილი რეგულაციები ინკლუზიური განათლების განსახორციელებლად დეტალურად აღწერს და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ალტერნატიული სასწავლო გეგმის შემუშავება და გამოყენება, ისგ-ს ჯგუფის შექმნა, სსსმ აკადემიური მიღწევების შეფასება, დასწრებასა და გაცდენებთან დაკავშირებული წესები, ინფორმაცია სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შესახებ. რეგულაციებში აღწერილია ის პრევენციული მექანიზმები, რომელიც განაპირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის უსაფრთხოებას. სკოლის ინფრასტრუქტურა მოსწავლეთა საჭიროებებზეა მორგებული - სველი წერტილები ადაპტირებულია, სკოლის კიბეებზე დამონტაჟებულია მოძრავი პანდუსები. სკოლაში ირიცხება რამდენიმე მოსწავლე, რომლებიც უცხოეთიდან გადმოვიდნენ. სკოლა სწორი რეგულაციებით დაეხმარა მათ პროგრამების აღიარებაში, მაქსიმალურად ზრუნავდა მათ ადაპტაციაზე, რაც იკვეთება შესწავლილი დოკუმენტაციით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების შედეგების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით სკოლაში იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს “მზეკაბანი 2007“ პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 2 სექტემბრის ოქმი N1; • შპს “მზეკაბანი 2007“-ის დირექტორის 2022 წლის 2 სექტემბრის ბრძანება #2-66;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სკოლის 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა; • მოსწავლის პირადი საქმეები; • ინტერვიურება სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მზეკაბანი 2007“-ში შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. აკადემიური მიღწევის შეფასების წესები შეესაბამება ესგ-ს ძირითად პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები; სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების მიზანია მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ესგ-ით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისია. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით. ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10. კლასიდან კლასში გადასაყვანი მინიმალურ ბარიერად დაწესებულია 5,0 ქულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ. შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართში მოცემულია შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა კლასების მიხედვით. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ: ესე, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვა). კათედრის პორტფოლიოებში წარმოდგენილია თითოეული მასწავლებლის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, ვადები, ხოლო მასწავლებლების პორტფოლიოებში შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ნიმუშები. სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით თან ერთვის შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკების/კრიტერიუმების ნიმუშები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება აანალიზებს მოსწავლეებთან მიღწეულ შედეგს, იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი მასწავლებლებისგან იღებენ სიტყვიერ და წერილობით უკუკავშირებს კომენტარების სახით. სკოლაში ტარდება შემდეგი ტიპის გამოცდები: • სემესტრული გამოცდა; • საშემოდგომო გამოცდა; • ექსტერნატის გამოცდა; სკოლაში მოსწავლეთა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების დადგენის მიზნით I და II სემესტრების ბოლოს ტარდება „სადირექციო“ წერები V-XII კლასებში. სადირექციო წერის შედეგებს გავლენა არ აქვს საგნის სემესტრული ან წლიური ქულის გამოთვლისას. 2022-2023 სასწავლო წელს სადირექციო წერა ჩატარდება: V-VI კლასებში: • მათემატიკა • უცხო ენა (ინგლისური) VII-IX კლასებში: • ისტორია • მათემატიკა X-XII კლასებში: • ქართული ენა და ლიტერატურა • უცხო ენა (ინგლისური)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სადირექციო წერების მიზანია მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და გათვალისწინება მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით. მიმდინარე და შემაჯამებელი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შედეგები თავს იყრის ელექტრონულ ჟურნალში https://mzekabani.edupage.org, რაზეც წვდომა აქვს მოსწავლის მშობელს. ელექტრონული ჟურნალის მრავალფეროვანი ავოტმატიზირებული ფუნქციონალები სკოლას ეხმარება დააკვირდეს მოსწავლის პროგრესს, უმოკლეს დროში მოახდინოს მოსწავლეთა აკადემიური შედეგების სტატისტიკის ანალიზი, მოსწავლეთა დასწრების სტატისტიკის იდენტიფიცირება და სხვა. ჟურნალით მშობელი მყისიერად ეცნობა შვილის სასწავლო შედეგებს. მშობელთა ინფორმირება შვილის სასწავლო შედეგებზე ასევე შედის კლასის დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობებში. მასწავლებლები ინტერვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წელს ცდილობენ კიდევ უფრო გაუმჯობესონ განმავითარებელი შეფასების მექანიზმები სოლო ტაქსონომიის გამოყენებით. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერვიუირებიდან იკვეთება, რომ შეფასება სკოლაში არის გამჭვირვალე, სანდო, ვალიდური და ობიექტური.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს "მზეკაბანი 2007"-ის 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა; დანართი-შეფასების რუბრიკები; • ელექტრონული ჟურნალის https://mzekabani.edupage.org ვიზუალური დათვალიერება; • კლასის დამრიგებლების პორტფოლიოები, ანგარიშები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური გეგმები/კურიკულუმები; • კათედრის პორტფილოები; • შემაჯამებელი სამუშაოს ნიმუშები, შემაჯამებელი სამუშაოს სემესტრული ანალიზის ფორმები; • ინტერვიურება სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს "მზეკაბანი 2007"-სა და მშობელს შორის ურთიერთობა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, დებულებითა და მშობელთან დადებული ხელშეკრულებით. შინაგანაწესის 22-ე მუხლში წარმოდგენილია მშობლის ინფორმირების წესი: • მშობელი უფლებამოსილია გაეცნოს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ქცევის წესის, გაკვეთილების გაცდენა–დაგვიანების შესახებ და სხვა. • დაწესებულების მიერ მოსწავლის ქცევის წესის შესახებ მშობლის ინფორმირების მიზნით გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო ზარი და სხვა. • დაწესებულების მიერ მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით კი გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი, ელექტრონული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფოსტა, სატელეფონო ზარი, სკოლის ვებ-გვერდი, სკოლის სოციალური ქსელი, დაწესებულების განცხადებების დაფა და სხვა. შინაგანაწესის 35-2 მუხლში დეტალურადაა გაწერილი მოთხოვნები მოსწავლეთა მშობლებისადმი (კანონიერი წარმომადგენლებისადმი) და მათი უფლებები. სკოლის დებულების VII თავი განსაზღვრავს მშობლებთან ურთიერთობას, შიდა კონტროლის წესსა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის ფორმებს: 1. სკოლაში მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება კლასის დამრიგებლის მეშვეობით. 2. მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პირადი ურთიერთობების, დისციპლინის (თუ ის არ არღვევს სხვათა უფლებებს, არ განიხილება დისციპლინურ გადაცდომად) შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია. მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებელი ან ადმინისტრაციის წევრი პირადად ხვდება მშობელს. 3. კლასის დამრიგებელი ვალდებულია ყოველთვიურად შეაგროვოს ინფორმაცია მოსწავლის გაცდენებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ და უზრუნველყოფს მშობლის ინფორმირება მინიმუმ თვეში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, დამრიგებელი ვალდებულია გაცდენების გამო მოსალოდნელი შედეგების თაობაზე მოახდინოს მოსწავლის მშობლის დროული ინფორმირება. 4. საგნის მასწავლებელი უფლებამოსილია მშობელთან პირადი ურთიერთობის დროს მას გააცნოს სასწავლო შედეგები მხოლოდ იმ სასწავლო დისციპლინაში, რომელსაც ასწავლის. 5. სკოლა საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფის მიზნით, ატარებს მშობელთა პერიოდულ გამოკითხვებს და ანალიზის საფუძველზე გეგმავს განსახორციელებელ ღონისძიებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	6. სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის მშობელთან ურთიერთობის დებულება, სადაც ასახულია კომუნიკაციის ფორმებისა და მშობლის ინფორმირების წესი, ასევე ყურადღება ეთმობა სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას მშობელთა ჩართულობის საკითხებს. სკოლა მშობელთან საკომუნიკაციოდ იყენებს ელექტრონულ ჟურნალს https://mzekabani.edupage.org. ამ ინსტრუმენტის საშუალებით მშობელი ინფორმირებულია შვილის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგებით, იღებს ინფორმაციას დავალებებზე, საშუალება აქვს კომუნიკაცია ჰქონდეს დამრიგებელთან და მასწავლებლებთან. სკოლის ექვსწლიან სამოქმედო გეგმაში ერთერთი მიზანია მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. ამისათვის განსაზღვრულია, რომ: - სისტემატიურად მოხდება მშობლებისათვის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. - დაიხვეწება და განვითარდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების საშუალებები; - ინტენსიურად განხორციელდება მოსწავლეების მშობლებთან ინდივიდუალური და საერთო შეხვედრები; - სისტემატიურად ჩატარდება ღონისძიებები, რომელთა ორგანიზებაში უშუალოდ ჩაერთვებიან მშობლები; - სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ჩართულობის შესახებ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას. მშობლებთან აქტიური თანამშრომლობისათვის ასევე დაგეგმილია კონკრეტული აქტივობები 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მშობლებთან გასაუბრებისას ისინი აღნიშნავდნენ, რომ ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში. სკოლა ხშირად ატარებს მათ გამოკითხვას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. ელექტრონული ჟურნალის გარდა, ისინი აქტიურად სარგებლობენ სკოლის ვებგვერდით www.mzekabani.edu.ge, სკოლის გვერდით სოციალურ ქსელში (Facebook). ისინი აღნიშნავდნენ, რომ დამრიგებლებს აქვთ შექმნილი მშობელთა პრივატული ჯგუფები სოციალურ ქსელში, სადაც ისინი უმოკლეს დროში იღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას შვილების და სასკოლო ცხოვრების სიახლეების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,მზეკაბანი-2007-ის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი 2022-2023 ს/წ.; • შპს ,,მზეკაბანი-2007-ის“ შინაგანაწესი; • შპს ,,მზეკაბანი-2007-ის“დებულება; • შპს ,,მზეკაბანი-2007-ის“ექვსწლიანი და ერთწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები; • www.mzekabani.edu.ge ; • სადამრიგებლო პროგრამები; • მშობლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,მზეკაბანი-2007“-ს სკოლის დებულების შესაბამისად ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი. ის უზრუნველყოფს და აკონტროლებს სკოლის წინაშე არსებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას. ხარისხის მართვის მენეჯერი თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში, სხვა მოვალეობებთან ერთად, მართავს სასწავლო-სააღმზრდელო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროცესს, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კოორდინირებას უწევს იმ სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამებს, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია აღნიშნულ სასწავლო წელს, უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ხელშემწყობი მექანიზმების სრულყოფას, ხელს უწყობს პედაგოგთა პროფესიულ ზრდას, ესწრება გაკვეთილებს, ეხმარება კათედრებს მუშაობაში, ორგანიზებას უწევს ოლიმპიადებში, კონკურსებში, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში და მსგავს ღონისძიებებში ჩართულობას, როგორც სკოლის შიგნით, ასევე სკოლის გარეთ, სკოლაში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისთვის, საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელობს სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის გუნდს, უზრუნველყოფს მის განხორციელებასა და მონიტორინგს, საქმიანობას წარმართავს ისე, რომ ყველა რესურსი გამართული და გამოყენებული იქნას მოსწავლეების კეთილდღეობისთვის, დირექტორს წარუდგენს წინადადებებს სკოლის სასწავლო პროცესის სრულყოფის შესახებ, კოორდინირებას და მონიტორინგს უწევს კათედრების ეფექტურ მუშაობას, საჭიროების შესაბამისად გეგმავს და სკოლის დირექტორს წარუდგენს ინიციატივებს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების კუთხით, ხელმძღვანელობს მათ განხორციელებას, იკვლევს მასწავლებელთა საჭიროებებს, ავლენს მათ სუსტ და ძლიერ მხარეებს და ურჩევს შესაბამისი ცოდნის შესაძენად საჭირო ტრენინგ-კურსებს, ახორციელებს მასწავლებელთა მიერ წარმოებული პორტფოლიოების პერიოდულ მონიტორინგს და სხვა. შპს ,,მზეკაბანი-2007“-ს შემუშავებული აქვს 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. მისი მიზანია, სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგი, მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განვითარებისათვის ხელშეწყობა. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის მიზნით, ტარდება შემდეგი ღონისძიებები: • ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების ანალიზი; • ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების გათვალისწინება სასკოლო-სასწავლო გეგმაში; • მოსწავლეთა, პედაგოგთა და მშობელთა გამოკითხვები; • საგაკვეთილო დაკვირვება; • სადირექციო წერები. მონიტორინგი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მონაწილეთა საჭიროებების გამოვლენას, რაზე დაყრდნობითაც განისაზღვრება პრობლემების გადაჭრის გზები. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ხდება სასკოლო-სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის სრულყოფისთვის შემუშავებულია ხარისხის უზრუნველოყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც დანართის სახით ერთვის დოკუმენტს. სასკოლო კვლევები ფოკუსირებულია შემდეგ საკვანძო შეკითხვებზე: • რა სიახლეების დანერგვა არის საჭირო სასკოლო ცხოვრების გასაუმჯობესებლად? • ცნობილია თუ არა მოსწავლის შეფასების სისტემები სასკოლო საზოგადოებისათვის და რამდენად გამჭვირვალეა ის? • იცნობს თუ არა სკოლის აკადემიური პერსონალი განათლების სისტემაში არსებულ სიახლეებს და რა გზით იღებს ინფორმაციას ამის შესახებ?

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• რამდენად ხშირია მოსწავლის, მშობლის კომუნიკაცია კლასის დამრიგებელთან? • არიან თუ არა ინფორმირებულები მოსწავლეები, მშობლები შემაჯამებელი დავალებების შედეგებისა და გაცდენების შესახებ? • არიან თუ არა მოსწავლეები ჩართულები შეფასების კრიტერიუმების შემუშავების დროს? • როგორ და რა ფორმით ხდება მოსწავლეთათვის შემაჯამებელი დავალებების შეფასების კრიტერიუმების გაცნობა? • შემაჯამებელი დავალებების ფორმებიდან რომელ მათგანს ანიჭებენ უპირატესობას მასწავლებლები? • რამდენად საინტერესო და შესასრულებლად ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის ონლაინ დავალებები? • რამდენად საინტერესოა და მრავალფეროვანი მასწავლებლების მიერ ჩატარებული ონლაინ გაკვეთილები? • რა მეთოდებს მიმართავენ მასწავლებლები დისტანციური სწავლების განსახორციელებლად და რა პრობლემებს აწყდებიან მუშაობის პროცესში? • ონლაინ სწავლების შემთხვევაში გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, რა დამატებით რესურსებს იყენებს მასწავლებელი? სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები, ასევე გაკეთებულია შედეგების დეტალური ანალიზი და დასკვნები. მასწავლებელთა, კლასის დამრიგებელთა, კათედრების, კლუბებისა და წრეების წლიური ანგარიშების გათვალისწინებით, მონიტორინგის შედეგების საფუძველზე სკოლა ახდენს SWOT ანალიზს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოდგენილია გასული სასწავლო წლის SWOT ანალიზი, რის საფუძველზეც შემუშავდა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. მონიტორინგის, შეფასება-შემოწმებისა და კონფიდენციალური გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, სკოლა შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმას, რაც საბოლოოდ, მიზნად ისახავს არსებულ სტანდარტებთან სკოლის შესაბამისობის მიღწევას. ასევე წარმოდგენილია 2022-2023 სასწავლო წლის აქტივობები, (ჩატარების დრო და პასუხისმგებელი პირები) სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, გაკვეთილებზე დასწრების განრიგი, გაკვეთილის შეფასების, დამრიგებლის მუშაობის შეფასების, დამრიგებლის პორტფოლიოს, მასწავლებლის პორტფოლიოს შეფასების ანალიტიკური რუბრიკები და შეფასების სხვადასხვა ფორმები. მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან განხორციელებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი ქმედითია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „მზეკაბანი 2007-ის“ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი; • სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება; • სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; • კათედრების დებულება; • გაკვეთილებზე დასწრების განრიგი; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • SWOT - ანალიზი; • სკოლის განვითარების 6 წლიანი გეგმა (2023-2029წწ.); • სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა (2022-23);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შპს მზეკაბანი-2007-ის შიდა მონიტორინგის ფორმები; • ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმა 2022-23; • ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში 2021-2022 ს/წ; • მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან განხორციელებული ინტერვიუები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 863.70 კვ.მ
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	კერძო სკოლა შპს „მზეკაბანი 2007“ მდებარეობს ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქ. N69 - ში მდებარე ორსართულიან შენობაში, რომელიც სკოლას იჯარის 10 წლიანი (2017 წლის 5 სექტემბრიდან - 2027 5 სექტემბრამდე) ხელშეკრულების თანახმად გადაეცა სსიპ თვითმმართველი თემი თერჯოლის მუნიციპალიტეტისგან. ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების თანახმად სკოლის უფლებამოსილება არსებული ფართით სარგებლობის შესახებ განსაზღვრული იყო 2027 წლის 05 სექტემბრამდე, რაც ვერ უზრუნველყოფდა დაწესებულების საქმიანობას შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით, რომელიც 6 წლით განისაზღვრება (საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ - მუხლი 12. გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ). ვიზიტის პერიოდში სკოლამ თხოვნით მიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით **(დანართი N1 - წერილი 10 ნოემბერი, 202 წ. N4-93),** ხოლო დასკვნის პროექტის არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შეთანხმების წერილი და საქართველოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადწყვეტილება, რომლის თანახმად თანხმობა მიეცა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ გაფორმდეს შესაბამისი ურთიერთშეთანხმება თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და შპს ,,მზეკაბანი-2007“-ს (ს/კ 231948603) შორის, 2017 წლის 05 სექტემბერს ,,მხარეებს“ შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის 2 (ორი) წლით - 2029 წლის 5 სექტემბრამდე გაგრძელების შესახებ **(დანართი N2).**
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ.№69

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N33.09.33.018
კვ.მ.	863.70 კვ.მ შენობა-ნაგებობა
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი N33.09.33.018; • იჯარის ხელშეკრულება; • შენობის ტექნიკური პასპორტი; • სკოლის წერილი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით **(დანართი N1 - წერილი 10 ნოემბერი, 202 წ. N4-93;** • საქართველოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადწყვეტილება **(დანართი N2).** • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში განთავსებულია 12 საკლასო და 1 დამხმარე ოთახი, 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, 1 ისტ -ის ლაბორატორია, 1 დირექტორის კაბინეტი, 1 ოფის-მენეჯერის ოთახი, 1 სამასწავლებლო, 1 სამედიცინო კაბინეტი, 1 მცირე სპორტული დარბაზი, 1 ბიბლიოთეკა, 2 სპორტული გასახდელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საკლასო ოთახებში საერთო ჯამში განლაგებულია არსებული მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისი 147 ინდივიდუალური მერხი და სკამი. ყველა საკლასო ოთახში დგას მასწავლებლის მაგიდა და სკამი, რიგ მათგანში კარადები. კედელზე კიდია დაფები, სასწავლო თვალსაჩინოებები, სკოლის მისია, მოსწავლეთა ნაშრომები, თაროები. ექსპერტთა მიერ საკლასო ოთახების ფართის შეფასების შედეგებით დგინდება, რომ მათში საერთო ჯამში შესაძლებელია განთავსდეს 150 მოსწავლის მაგიდა და სკამი,
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მეორე სართულზე განთავსებულია მცირე სპორტული დარბაზი, რომლის საერთო ფართია 45.1.კვ.მ, დარბაზში დგას 1 ჩოგბურთის მაგიდა. დარბაზი გამოიყენება დაწყებითი საფეხურის კლასების მოსწავლეების სპორტული აქტივობებისთვის. დარბაზის გვერდით განთავსებულია გასახდელები გოგონებისა და ბიჭებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის უკანა მხარეს ეზოში დამონტაჟებული იყო 2 ფეხბურთის კარი, მაგრამ რამდენადაც ამავე ეზოში მდებარეობს ავარიული შენობა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსწავლეთა უსაფრთხოებას. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ფეხბურთის კარების აღებასთან და ავარიული შენობის სპეციალური დამცავი ბადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გადაფარვასთან დაკავშირებით. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია მოხსნა ორივე კარი და წერილით მიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტს თხოვნით ავარიული შენობის დალუქვასთან და შესაბამისი ზომების მიღებასთან დაკავშირებით **(დანართი N3)** მაღალკლასელთა სპორტული აქტივობებისთვის სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლასა და სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუნიციპალურ ცენტრთან“ დახურული დარბაზისა და ღია სპორტული მოედნის ქირავნობასთან დაკავშირებით. დაქირავების გრაფიკი თანხვედრაშია სკოლის გაკვეთილების ცხრილში გათვალისწინებულ სპორტის გაკვეთილებთან. დარბაზები მდებარეობს სკოლიდან დაახლოებით 300 მეტრში და შესაბამისად მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის სკოლას დაქირავებული ჰყავს მძღოლი სამგზავრო ტრანსპორტთან ერთად, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • წერილი, თერჯოლის მუნიციპალიტეტს, ავარიული შენობის დალუქვასთან და შესაბამისი ზომების მიღებასთან დაკავშირებით **(დანართი 3);** • ხელშეკრულება ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტულ სკოლასა და სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუნიციპალურ ცენტრთან“; • სამარშრუტო ტიპის მძღოლთან დადებული მომსახურების ხელშეკრულება; • შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნებისთვის მოწყობილია კაბინეტი რომელშიც დგას 16 მაგიდა და სკამი, კარადებში განთავსებულია ქიმია-ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები. კაბინეტში დიდი ფანჯრებია, რომელიც ხელს უწყობს ოთახის სრულყოფილ განიავებას, დამონტაჟებულია ონკანი და ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა რეკომენდაციით მასში განთავსდა გამწოვი ფარი, რეაქტივები დაცულია ჩაკეტილ კარადებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ლაბორატორიების ფლობის დოკუმენტაცია; • სასაქონლო ზედნადებები; • ვიზუალური დათვალიერება; • შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია, რაც დასტურდება გადახდილი ქვითრებითა და არსებული გარემოებით. ყველა აუდიტორიას აქვს დიდი ფანჯრები, რაც უზრუნველყოფს ბუნებრივი განათების შესაძლებლობას. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სიტემა. სკოლის ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სართულზე განთავსებულია 2-2 სანიტარული კვანძი როგორც გოგონებისათვის, ასევე ვაჟებისათვის. ორივე სართულზე არის 1 ადაპტირებული სანიტარული კვანძი სსსმ და შშმ პირთათვის. სანიტარულ კვანძებში განთავსებულია სადეზინფექციო საშუალებები და სანტაიზერები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება; • „სოკარ გაზთან“ გაფორმებული ხელშეკრულება; • სს „ელექტრო პრო - ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება; • გადახდის ქვითრები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1972 წიგნადი ერთეული, მათ შორის ყველა საფეხურისა და საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ილუსტრირებული მასალები გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებიდან, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული გაზეთ „ახალ განათლებასთან“, რომელიც ყოველკვირეულად მიეწოდება სკოლას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 ინტერნეტში ჩართული ლეპტოპი. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და შეტანილია საინვენტარო წიგნში. შექმნილია წიგნადი ფონდის ელექტრონული ვერსია, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. შემუშავებულია და მოქმედებს წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები და ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკის ფუნქციას, ბიბლიოთეკარის მოვალეობებს, მკითხველთა უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, ასევე ბიბლიოთეკაში ქცევის წესებს. ბიბლიოთეკის მიმდებარედ განთავსებულია სამკითხველო სივრცე. ბიბლიოთეკაში გამოკრულია მუშაობის საათები და სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი; • წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები; • საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნი; • სასაქონლო ზედნადებები; • მიღება ჩაბარების აქტები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ამ ეტაპამდე სკოლას არ ჰყოლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა შენობაში შექმნილია ადაპტირებული გარემო. სკოლის კიბეებზე და სანიტარულ კვანძებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიმაგრებულია პანდუსები, ხოლო სკოლის შესასვლელში მოწყობილია მყარი პანდუსი. შენობის ორივე სართულზე განთავსებული ადაპტირებული სანიტარული კვანძები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია; • მიღება ჩაბარების აქტები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად სკოლას აქვს: ინტერნეტში ჩართული 7 კომპიუტერი და 4 ლეპტოპი, მათ შორის 6 კომპუტერი და 1 ლეპტოპი განთავსებულია ისტ-ის კაბინეტში, 1 ლეპტოპი - საქმისმწარმოებლის კაბინეტში. 1 კომპიუტერი - ბიბლიოთეკაში და 1 ლეპტოპი - დირექტორის კაბინეტში. სკოლას აქვს ასევე 2 კომბაინი, 1 პრინტერი და 2 პროექტორი. სკოლის ვებგვერდი **www.mzekabani.edu.ge** ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია: სკოლის ისტორია, სკოლის ატრიბუტიკა, სტრუქტურა, მისია, ადმინისტრაცია, პერსონალი, სასკოლო სასწავლო გეგმა, დღის განრიგი, სასწავლო კალენდარი, ფოტოგალერეა, საკონტაქტო ინფორმაცია, სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკის ელექტრონული ვერსია, ელექტრონული ჟურნალი და სხვა. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა განახლების და შევსების სამუშაოები. ექსპერტების მიერ სკოლას მიეცა რჩევა ვებგვერდზე მარეგულირებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტაციის, მათ შორის შინაგანაწესის, ატვირთვასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების მეტად ინფორმირებულობას. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის facebook გვერდი და ელექტრონული ფოსტა - Kerdzoskolamzekabani2007@gmail.com.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებგვერდი www.mzekabani.edu.ge ; • ელექტრონული ფოსტაKerdzoskolamzekabani2007@gmail.com; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • ი.მ მირზა აბულაძესთან გაფორმებული ხელშეკრულება ინტერნეტის მომსახურებაზე; • ვებგვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა - სკოლის მიერ შემუშავებულია წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. შემუშავებულია საგანგებო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სიტუაციებში სამოქმედო გეგმა და ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი. შენობაში განთავსებულია წესების დაცვით დატენილი, ვადიანი ცეცხლმაქრები (4). სკოლის შენობას აქვს სათადარიგო გასასვლელი ხოლო სახურავი დამუშავებულია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები; • საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა; • ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ორივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები, რომელიც შექმნილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ. წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად ყველა სართულზე დერეფნებში და კიბის უჯრედებში განთავსებულია მიმართულების მანიშნებელი ისრები EXIT.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სამედიცინო დახმარებისთვის სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექიმი, რომლის უფლება მოვალეობები გაწერილია სკოლის დებულებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	(მუხლი 13) და ასევე მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ოთახში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, წამლების კარადა, მაგიდა, შირმა, საკაცე, კედელზე ექსპერტთა რეკომენდაციით განთავსდა საათი და შეძენილ იქნა სასწორი. კაბინეტში გამოკრულია პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის წესები და პროცედურები. ექიმთან გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მის მოვალეობებში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად შედის იმ გარემო ფაქტორების შეფასება, რომლებიც შეიცავს ფიზიკური დაზიანების რისკებს (სიმაღლიდან ვარდნა, დაცემა, ჭრილობის მიყენება, დამწვრობა და ა.შ.), საჭიროებისამებრ პრევენციული ზომების მიღება და სკოლის შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ინფორმირება საფრთხის არსებობის შესახებ. იგი მოვალეა ასევე გააანალიზოს წლის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაცია (სამედიცინო შემთხვევების რაოდენობა და ტიპები, პერიოდული სამედიცინო შემოწმებით გამოვლენილი განვითარების დარღვევები, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ.) და მოამზადოს საჭირო წინადადებები და რეკომენდაციები, სკოლის ხელმძღვანელობისათვის წარსადგენად, ექიმმა წარმოადგინა ჩატარებულ მიმართვიანობისა და გაცემულ პრეპარატების აღრიცხვის ჟურნალები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სამედიცინო დახმარების მექანიზმები; • სკოლის დებულება; • ჩანაწერების ჟურნალი; • ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დებულება, რომელიც სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია 2022 წლის 24 ივნისს. დებულების პროექტი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად, თერჯოლის რესურს ცენტრის შუამდგომლობით, გადაეგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესათანხმებლად. 2022 წლის 03 ივნისის წერილით სკოლამ მიიღო სამინისტროსგან რიგი რეკომენდაციებისა, რომლის გათვალისწინების შემდგომ, სკოლის დირექტორის მიერ დებულება დამტკიცდა. ექსპერტების მიერ გადამოწმდა რეკომენდაციების შესრულების ნამდვილობა. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება უფლებამოსილი პირის - უსაფრთხო სკოლის მენეჯერის საშუალებით. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს უფლებამოსილი პირი და სკოლის დირექცია. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს შესაბამისი პირი (უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი). სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კანონიერი წარმომადგენლები წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით, ანონიმურობის დაცვით. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების კითხვარს (შემდგომში – შეფასების კითხვარი) ადგენს სკოლის დირექტორი მრჩეველთა საბჭოსთან ერთად. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება. იგი პრევენციის მიზნით ატარებს მოსწავლეებთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ გასაუბრება/გამოკითხვებს, ტარდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიება ცნობიერების ასამაღლებლად, ტოლერანტობის მიმართულებით და ემპათიური დამოკიდებულებების განსავითარებლად - ყოველივე ზემოთქმული დადასტურდა მოსწავლეებთან გასაუბრებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სადამრიგებლო პროგრამები; • შპს მზეკაბანი 2007 უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; • გასაუბრების შედეგები; • სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლისა და წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციებით დგინდება, რომ სკოლას აქვს უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. შენობის და მიმდებარე ტერიტორიის გასაკონტროლებლად დაწესებულებას აქვს 12 კამერა, მათ შორის 8 დამონტაჟებულია სკოლის შენობაში, ხოლო 4 - გარე პერიმეტრზე. სათვალთვალო კამერების პარამეტრები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კამერების კონტროლს ახორციელებენ დირექტორი და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარების დათვალიერების შედეგები; • ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ფლობის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია რიგი მარეგულირებელი დოკუმენტაციისა, მათ შორის სკოლა „მზეკაბანი 2007“-ის დებულება, შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. დებულება, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის №2-45.1 ბრძანებით, აწესრიგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობას, სკოლის მართვის პრინციპებსა და წესებს. დებულებით განსაზღვრულია სკოლის სტატუსი, უფლებამოსილება, სკოლის მართვის პრინციპები, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გულისხმობს: ა) სკოლის გადაწყვეტილებების, დირექტორის ბრძანებების საჯაროობასა და მათ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ბ) დემოკრატიული კულტურისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას; გ) სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში; დ) მოსწავლეთა მიმართ თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის ეთნიკური წარმომავლობისა, სქესის, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა; ე) კონკურსების და სხვადასხვა პროექტების საჯაროობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე სკოლის სტრუქტურა და მართვა. სკოლის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა კრებას, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დამხმარე პერსონალს. შემუშავებულია სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები და კონკრეტული სამუშაო აღწერილობები. განსაზღვრულია პედაგოგიური საბჭოს, კათედრების, მასწავლებლების, კლასის დამრიგებლის ფუნქციები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები და ასევე მშობლებთან ურთიერთობისა და შიდა კონტროლის წესი. დებულების მუხლი 24-ით განსაზღვრულია უსაფრთხოების ტექნიკისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. სკოლის შინაგანაწესი შემუშავებულია საგნობრივი კათედრებისა და დირექტორის მონაწილეობით. განხილულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (ოქმი №1, 6 სექტემბერი 2021 წელი) და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. დოკუმენტით განსაზღვრულია: სამუშაო და დასვენების დრო, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები, დაწესებულების პერსონალისათვის მოქმედი ზოგადი ეთიკური ნორმები, წახალისების ფორმები, დისციპლინური წარმოება, გადაცდომა და მისთვის გათვალისწინებული დისციპლინური სახდელები, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/ კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის გარანტიები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღება, მოსწავლის მიღება/ჩარიცხვა, მოსწავლის უკონტაქტო-ზედაპირული დათვალიერება, მშობელთა, პროფესიული კომპეტენტურობა და ურთიერთობა. შპს მზეკაბანი-2007-ის შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, შრომის კოდექსის, საქართველოს კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ'', დირექტორის, მასწავლებლების პროფესიული ეთიკის, მოსწავლეთა ქცევის კოდექსისა და განათლების სისტემაში მოქმედი სხვა საკანონმდებლო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა საფუძველზე, ვრცელდება სკოლის მასწავლებლებზე, თანამშრომლებზე, მოსწავლეებზე, მათ კანონიერ წარმომადგენლებზე და სავალდებულოა შესასრულებლად. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც შემუშავებულია საგნობრივი კათედრებისა და დირექტორის მონაწილეობით, განხილულია პედაგოგიური საბჭოს (ოქმი №1, 6 სექტემბერი 2021 წელი) და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. დოკუმენტით განსაზღვრულია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზების და მათ შორის ისეთი საკითხებიც, როგორიცაა: დაწესებულებაში მოსწავლეთა ჩარიცხვის პირობები, დაწესებულებიდან სხვა სკოლაში გადაყვანის, მიღებისა და კლასიდან კლასში გადაყვანის წესები და პირობები. ყველა წესი სრულ შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ეფექტიანი მართვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს ასევე საგნობრივი კათედრების ზოგადი დებულება, თვითმართველობის დებულება, ბიბლიოთეკის დებულება, საქმის წარმოების წესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლა „მზეკაბანი 2007“-ის დებულება; • სკოლა „მზეკაბანი 2007“-ის შინაგანაწესი; • საგნობრივი კათედრების ზოგადი დებულება; • თვითმართველობის დებულება; • ბიბლიოთეკის დებულება; • საქმის წარმოების წესი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა, საგნობრივი კათედრებისა და დირექტორის მონაწილეობით შემუშავებული 2016-2022 ს/წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც განხილულია პედაგოგიური საბჭოს (ოქმი №1, 2 სექტემბერი 2016 წელი) და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა ანალიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელშიც ინტეგრირებულია სკოლის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები SWOT ანალიზის ფორმით და მკაფიოდ არის განსაზღვრული სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე, საფრთხეები და შესაძლებლობები. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს განვითარების მიზნებს, აქტივობებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პასუხისმგებელ პირებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. განვითარების მიზნებია: სკოლის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; სწავლა სწავლების ხარისხის ამაღლება; უსაფრთხო გარემოს შექმნა; სკოლის თვითშეფასება; ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია; პარტნიორული ურთიერთობები დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა; მატერიალურ – ტექნიკური ბაზის სრულყოფა; სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებით. რამდენადაც წარმოდგენილი განვითარების სტრატეგიული გეგმის ბოლო ვადა 2022 წლით თარიღდება, ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ასევე 2023-2029 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი, რომლის შესამუშავებლად ასევე გამოიყენა SWOT ანალიზი. სკოლის პერსონალთა მონაწილეობით ერთობლივად შემუშავდა სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიზნები და შესასრულებელი ამოცანები, რომლებშიც გაითვალისწინეს ის სუსტი მხარეები და შესაძლებლობები, რომლებიც SWOT ანალიზის დროს გამოიკვეთა. 2023-2029 სასწავლო წლების მიზნებია: ტექნიკური ბაზის შევსება-გაუმჯობესება; ჯანსაღი, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო; საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა - მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; სხვა მიმართულებები (წინამდებარე თავში განიხილება ისეთი საკითხები, რომელიც აუცილებელია სკოლის განვითარებისთვის და რომლის გათვალისწინებაც წინასწარ შეუძლებელია). სტრატეგიული გეგმები გახდა ერთწლიანი 2022-2023 ს/წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების საფუძველი. სკოლის მიერ ჩატარდა ასევე სასკოლო საზოგადოების კვლევები. მომზადდა კითხვარები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამი მიმართულებით: მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები. კითხვარი შემუშავდა სკოლის დირექციის, ხარისხის მართვის მენეჯერის, კათედრის ხელმძღვანელებისა და კლასის დამრიგებლების ჩართულობით. პირველი კვლევა ჩატარდა პირველ სემესტრში, ხოლო მეორე ეტაპი მეორე სემესტრის ბოლოს. კითხვარებით გამოვლინდა სკოლის სუსტი და ძლიერი მხარეები, დადგინდა მომავალი სასწავლო წლისათვის სასურველი ცვლილებების მიმართულებები. მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვას ორგანიზებას უწევდნენ კლასის დამრიგებლები. ისინი უზრუნველყოფდნენ კითხვარების გავრცელებას, შეგროვებასა და ხარისხის მართვის მენეჯერისთვის წარდგენას. კვლევის მესამე ეტაპი გულისხმობდა გამოკითხვის შედეგების ანალიზს, რომელიც განახორციელა ხარისხის მართვის მენეჯერმა და წარუდგინა სასკოლო საზოგადოებას პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია საგნობრივი კათედრებისა და დირექტორის მონაწილეობით, განხილულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (02 სექტემბერი 2022 წელი ოქმი N1) და დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 02 სექტემბრის N2-67 ბრძანებით. გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მატერიალური რესურსის ეფექტურად გამოყენებას. სამოქმედო გეგმაში ასახული შესასრულებელ ამოცანები სრულად მოიცავს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საკითხებს, შესრულების დროს და პასუხისმგებელ პირებს, თუმცა მათში არ არის ჩამოყალიბებული შესრულების ინდიკატორები, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა რჩევა - სამოქმედო გეგმაში გაიწეროს შესრულების ინდიკატორები, რომლის საშუალებითაც მარტივად შეფასდება მიღწეულია თუ არა მიზანი, ან შესრულებულია თუ არა დასახული ამოცანა. ის წარმოადგენს ხარისხობრივ საზომსაც, რომლითაც ფასდება შესრულების ხარისხი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლამ წარმოადგინა ასევე 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა-დოკუმენტი, სადაც გაწერილია გასატარებელი ღონისძიებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • 2023-2029 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა; • 2016-2022 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან და რომლის თანახმად სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა: შემოსული და გასული კორესპონდეციების აღრიცხვის ჟურნალები, ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, ჟურნალები დანომრილი და ზონარგაყრილია. ისინი დამოწმებულია დირექტორის ბეჭდით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნი; • საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • შემოსული კორესპონდეციების რეგისტრაციის ჟურნალი; • შემოსული კორესპონდეციების რეგისტრაციის ჟურნალი; • საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟორნულიშრომის ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჯურნალი; • საქმისწარმოების ერთიანი წესი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	• ექსპერტების მიერ სკოლას მიეცა რჩევა ვებგვერდზე მარეგულირებელი დოკუმენტაციის, მათ შორის შინაგანაწესის, ატვირთვასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების მეტად ინფორმირებულობას. • 2022-2023 ს/წლის სამოქმედო გეგმა სრულად მოიცავს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საკითხებს, შესრულების დროს და პასუხისმგებელ პირებს, თუმცა მასში არ არის ჩამოყალიბებული შესრულების ინდიკატორები, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა რჩევა - სამოქმედო გეგმის ფორმას დაემატოს შესრულების ინდიკატორები, რომლის საშუალებითაც მარტივად შეფასდება მიღწეულია თუ არა მიზანი, ან შესრულებულია თუ არა დასახული ამოცანა. ის წარმოადგენს ხარისხობრივ საზომსაც, რომლითაც ფასდება შესრულების ხარისხი.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წარმოდგენილი სტრუქტურის, საშტატო განრიგის და არსებული მდგომარეობით სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. მათ შორის: 1 დირექტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ოფის-მენეჯერი, 1 ფინანსური მენეჯერი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 ფსიქოლოგი, 1 ექიმი, 1 IT მენეჯერი, 2 დამლაგებელი, 1 უსაფრთხო სკოლის მენეჯერი, რომელიც ასრულებს ასევე სამნეო ნაწილის ფუნქციას, 1 უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (დარაჯი) და 29 მასწავლებელი. სკოლის ადამიანური რესურსი შეესაბამება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის სტრუქტურა; • სასტატო განრიგი; • ფაქტობრივი მდგომარეობა.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**29**
მოწვეული/მაძიებელი	**1**
უსტატოსი მასწავლებლი	**2**
უფროსი მასწავლებლი	**22**
წამყვანი მასწავლებლი	**4**
მენტორის სტატუსი	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს მზეკაბანი 2007-ის მასწავლებლები შერჩეულნი არიან საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სერტიფიკატები. სკოლაში მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის მიღება ხდება კონკურსის გზით. სკოლის 22 მასწავლებელს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 4 მასწავლებელი წამყვანია, 1 მოწვეული და 2 უსტატუსო, რომლებიც კონკურსის წესით არიან აყვანილი 2 წლის ვადით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ამონაწერი ემისიდან; • მასწავლებელთა პირადი საქმეები; • გასაუბრების შედეგები; • მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა; • გაფორმებული ხელშეკრულებები; • სკოლის შინაგანაწესი; • მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • კონკურსის ჩატარების ამსახველი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მზეკაბანი 2007-ში“ მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად - მუხლი 25. სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება. დოკუმენტის თანახმად, სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება შიდა და ღია კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად, ხოლო სკოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას, დირექტორი უფლებამოსილია მოწვეული ან/და შემცვლელი მასწავლებლები დაასაქმოს სკოლაში კონკურსის გარეშე. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი ვაკანსიებს ათავსებენ დასაქმების ვებგვერდზე - www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე. სკოლამ წარმოადგინა ღია კონკურსის გზით მიღებული მასწავლებლების დოკუმენტაცია, რითაც დადასტურდა, რომ ისინი წესების სრული დაცვით დასაქმდნენ სკოლაში. შინაგანაწესით განსაზღვრულია ასევე შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი, წესი და პირობები, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, მივლინების ადმინისტრირების წესი და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, ასევე შრომითი ურთიერთობის შეჩერების და შეწყვეტის წესი. ყველა წესი სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებთან. სკოლის შინაგანაწესის მუხლი 12.-ით განსაზღვრულია მასწავლებლის წახალისების მექანიზმი, რაც გულისხმობს შემდეგ ღონისძიებებს: ბრძანებით მადლობის გამოცხადება; საპატიო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; საგაზეთო სტატიის გამოქვეყნება. ჩამოთვლილი ღონისძიებები გამოიყენება თანამშრომლის მიერ პროფესიულ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, წარმატებული და კვალიფიციური პედაგოგიური საქმიანობისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის, შინაგანაწესში დეტალურადაა აღწერილი დისციპლინური გადაცდომების შემთხვევებიც და თითოეულ გადაცდომის შესაბამისი დისციპლინური სახდელები. სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ ისინი კარგად იცნობენ შინაგანაწესის ამ მუხლებს და ასევე ხშირად ყოფილან წახალისებული სკოლის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „მზეკაბანი 2007“ - შინაგანაწესი; • დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს მზეკაბანი 2007-ის წარმომადგენლებთან: ადმინისტრაციასთან, ტექპერსონალთან და მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც აღწერილია მათ მიერ შესასრულებელი სამუშაო და მოვალეობები, შრომის ანაზღაურების და გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, პერსონალური მონაცემების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამუშავების, გამოყენების და გავრცელების წესი და სხვა. ხელშეკრულებები ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ცნობები იმის დასტურად, რომ ისინი არ არიან ნასამართლევი და არ აქვთ ჩადენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გაფორმებული ხელშეკრულებები; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს შპს "მზეკაბანი 2007-ის" ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 8 ივლისის №2-39 ბრძანებით. სკოლის დირექციასთან გასაუბრების და წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლის შედეგებით დგინდება, რომ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების შემოღებისა და განხორციელების მიზანია, მაწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ამ მიზნების შესასრულებლად სკოლას დასახული აქვს კონკრეტული ამოცანები. მაგალითად: სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით; სკოლის მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება; სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვა; ადამიანური რესურსების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად სკოლის შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება. დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ადამიანური რესურსის პროფესიული განვითრების მიზნით დირექციის შეხვედრებზე რეგულარულად განიხილება ადამიანური რესურსის მართვის მეთოდებისა და შესაბამისი პროცედურების ეფექტიანობა, მუშავდება ადამიანური რესურსის სტაბილურობის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციები, ტარდება სამუშაო პირობების შესახებ დასაქმებულთა აზრის პერიოდული კვლევა და ანალიზი, ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობისა და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას. იმართება კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები, სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით კითხვარების და პორტფოლიოების ანალიზის მეშვეობით, ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას. 2022-2023 სასწავლო წლისთვის დაგეგმილია სხვადასხვა სახის კონფერენცია, პროექტი, რომლებშიც ჩართულები იქნებიან სკოლის თანამშრომლები და რაც დაეხმარება მათ არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავებაში. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მასწავლებლები, მუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს ახლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიღებულ გამოცდილებას და აქტიურად არიან ჩართულნი პროფესიული განვითარების ტრენინგებში: • მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ,,მიკრბიტ კონტროლერის დაპროგრამება“ 2022 • მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ,,საჭიროებების კვლევა“ -2022 • მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ,,ელექტრონული ცხრილები, მონაცემების დამუშავება -2022 • თბილისის ღია უნივერსიტეტი -სამოტივაციო ტრენინგ მოდული-,,წარმატების ფსიქოლოგია -განათლების როლი და მნიშვნელობა“ -2020 • სასწავლო გეგმის ძირითადი პრინციპები, შედეგზე ორიენტირებული სწავლებისა და გაკვეთილის დაგეგმვის მნიშვნელობა, შეფასებისა და ახალი სისტემების, სწავლების სხვადასხვა მეთოდები და სტრატეგიები - 2021 • პროექტი, როგორც სასწავლო მეთოდი -2022 • „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოდელები“; 2022 წლის 26 მაისი • „ მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა“- 2022 წლის 2 ივნისი • „წყაროების გამოყენება ისტორიის სწავლებისას“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი -2022 წელი და მრავალი სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს "მზეკაბანი 2007-ის" ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები; • მასწავლებლების CV და სერთიფიკატები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• გასაუბრება ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან/ თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მზეკაბანი 2007“-ში არის თანამშრომლობითი კულტურა, ერთსულოვნებისა და გუნდურობის განცდა. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ სასკოლო საგნობრივ თემატურ გეგმებზე/კურიკულუმებზე, სასწავლო რესურსების შექმნაზე და ურთიერთგაზიარებაზე. სკოლის ცენტრალურ ფოიეში განთავსებულია სკოლის ლოგო სლოგანით „ჯეჯილიდან-თავთუხამდე!”. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლის სახელწოდება „მზეკაბანი“ ნიშნავს ჯეჯილზე მოციმციმე მზის სხივებს, სლოგანიც სახელწოდებიდან მოდის და მოსწავლეზე აკეთებს აქცენტს, რამდენადაც, როგორც ჯეჯილს ესაჭიროება ჯანსაღი გარემო. ისე მოსწავლეს - უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემო, რომ ჩამოყალიბდეს პროგრესულ მოქალაქედ. ეს სულისკვეთება მთელი სასკოლო საზოგადოების შთაგონებას იწვევს და შესასვლელიდანვე იპყრობს სტუმრების ყურადღებას. სასკოლო საზოგადოების დაცულობისათვის შექმნილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები, რომლის განხორციელება ფასდება უფლებამოსილი პირის - უსაფრთხო სკოლის მენეჯერის საშუალებით. უსაფრთხო ფსიქო-ემოციური გარემოს შესაქმნელად ტარდება სხვადასხვა სახის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ღონისძიება, რომლებშიც სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად არის ჩართული მოსწავლეთა თვითმმართველობა. პედაგოგებთან, ადმინისტრაციასთან და მოსწავლეებთან გასაუბრების და ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „მზეკაბანი-2007“-ის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; • სკოლის დებულება; • თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებული წესები; • სკოლის შინაგანაწესი; • სკოლის ფოიეში განთავსებული მოსწავლეთა ნამუშევრები; • www.mzekabani.edu.ge სკოლის ვებგვერდი; • სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/nineli.gvenetadze; • ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან განხორციელებული ინტერვიუები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

გვერდების რაოდენობა -70

- **დანართი N1** - სკოლის წერილი (10 ნოემბერი, 2022 წ. N4-93) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით;
- **დანართი N 3** - საქართველოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადწყვეტილება;
- **დანართი N2** - წერილი, თერჯოლის მუნიციპალიტეტს, ავარიული შენობის დალუქვასთან და შესაბამისი ზომების მიღებასთან დაკავშირებით.

თბილისი, 04.12.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.